



ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1933 წლის
მარტის 31

№ 5-6
განყოფილება პირველი

აკუსტრ სახალხო კომისარ-
თა საბჭოს საქმეთა მმართველობის
გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:


1751

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და აკუსტრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 47. სტუდენტ-სტიპენდიატების საბინაო ქირის განაკვეთების შეცვლის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა,
მიღებული მე-IV მოწვევის მე-3 სესხიაზე.

48. აკუსტრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ანზ. გ. მუსაბეკოვისა და
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ანზ. ს. ფირუზოვის მოხსენებების
გამო—აკუსტრ 1933 წლის (მეორე ზეთოლედის პირველი წლის) სახალხო-სა-
მეურნეო გეგმის შესახებ.



დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის პრეზიდიუმისა.

49. ამიერკავკასიის საიალლო კომიტეტის შედგენილობის შეცვლის შესახებ.

დადგენილება აკუსტრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

- 50. ხილბოსტნეულის დამზადების გეგმის გაზუსტების შესახებ.
- 51. აკუსტრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დაშქესანის მშენებლობის
ხელისშემწყობი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
- 52. თავგთა და მღრღნელთა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.
- 53. 1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შეცვლის
შესახებ.
- 54. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ბაზისის რეორგანიზაციის შე-
სახებ.

55. „ზავოტკონის“ ამიერკავკასიის კონტორის და მისი დამძაღბელი ბაზისების მუშაობის შესახებ.
56. „1932 წლის წლიური ანგარიშების და ბალანსების შედგენისათვის საჭირო სამომზადებლო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 21-ის დადგენილების აღსრულების საკითხის შესახებ.
57. ლითონრესურსების და ზედმეტი გაწყობილობის მობილიზაციის მსვლელობის შესახებ.
58. ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღის რემონტის მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

47. სტუდენტ-სტიპენდიანტების საბინაო ქირის განაკვეთების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი სახელმწიფო სასწავლებლების იმ მოსწავლეებისათვის, რომელნიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებენ ან სამსახურში არიან, საბინაო ქირის განაკვეთების დაწესება იმავე საფუძველზე, როგორც მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, მათ მიერ შინაღები სტიპენდიის ან სამუშაო ხელფასის ანგარიშის კვალობაზე (იმის მიხედვით, რა უფრო მეტია).

2. ამისდაშესაბამისად მე-5 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 2-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ ქალაქებსა და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. სახელმწიფო პენსიონერისა, სოციალურად უზრუნველყოფილი პირისა ან სოციალურ დაზღვევაზე მყოფი პირისათვის, რომელიც იღებს დახმარებას ან პენსიას არა უმეტეს 20 მანეთის რაოდენობისა თვიურად, იმ უმუშევარისათვის, რომელსაც დახმარების მიღების უფლება აქვს, წითელარმიელის ოჯახისათვის, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო არ მოეპოვება,—ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება იმავე საფუძველზე, როგორც მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელიც იღებს 20 მანეთამდე—თანჩართვით.

სახელმწიფო სასწავლებლების იმ მოსწავლეებისათვის, რომელნიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებენ ან სამსახურში არიან, ბინის ქირის განაკვეთები დაწესდება იმავე საფუძველზე, როგორც მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, მათ მიერ შინაღები სტიპენდიისა და სამუშაო ხელფასის ანგარიშის კვალობაზე (იმის მიხედვით, რა უფრო მეტია).

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული წითელარმიელთა ოჯახის წევრები ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიანთ გაანათავისუფლონ სრულიად ბინის კირისაგან.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. ხულთანოვი.

1933 წ. იანვრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მიღებული მე-IV მოწვევის სესსიაზე.

48. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მუსახეკოვისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. ფირუმოვის მოხსენებების გამო—ა/კსფსრ 1933 წლის (მეორე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი,—მოისმინა და განაბჭო-რა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მუსახეკოვის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. ფირუმოვის მოხსენებანი ა/კსფსრ 1933 წლის (მეორე ხუთწლედის პირველი წლის) სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ,—ადგენს:

1. ამიერკავკასიის მთავრობის მოქმედება მოწონებულ იქნეს.
2. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ა/კსფსრ-ის 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის—სახალხო-სამეურნეო გეგმა.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1933 წ. თებერვლის 27.
ტფილისი.

I.

ა/კსფსრ-ის 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის— სახალხო-სამეურნეო გეგმა.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, ლენინის საუკეთესო თანამორაზმის ამხ. სტალინის მეთაურობით მომქმედი სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობით და კოლმეურნეთა და მშრომელ გლეხთა მრავალმილიონიანი მასების მხარის დაჭერით, მიაღწია უდიდეს წარმატებათ პირველი ბოლშევიკური ხუთწლედის აღსრულებაში.

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის თანამიმდევრობით ჩატარების შედეგი, შესრულებულია ოთხ წელიწადში. ხუთწლედის შედეგად შექმნილია ინდუსტრიალური ბაზისი სსრკ-ის მთელი სახალხო მეურნეობის სრული რეკონსტრუქციისათვის.

მუშებისა და მშრომელი გლეხობის გვირუკი ძალთა დაძაგვის მეოხებით განვლილია უდიდეს სიძნელეთა ისტორიული გზა, მოფენილი მსოფლიო მნიშვნელობის დიდებული გამარჯვებით.

ჩამორჩენილი, აგრარული, მეტის-მეტად მდარე ტექნიკის მქონე ჩვენი ქვეყნა გამოვიდა ტექნიკურად და ეკონომიურად უაღრესად განვითარებული ქვეყნების პირველ რიგში, გადაიქცა ძლიერ, ინდუსტრიალურ ქვეყნად, ყველაზე დიდი მიწათმოქმედების ქვეყნად მსოფლიოში.

თვალსაჩინოდ განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა და თავდაცვის უნარიანობება.

ლენინის კითხვა „ვინ ვის“—გადაწყვეტილია მთლად და უკუმოუქცევლად სოციალიზმის სასარგებლოდ. სსრკ საბოლოოდ დამკვიდრდა სოციალისტურ გზაზე.

კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პარტიის გენერალური ხაზისათვის ურყევ ბრძოლაში—ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, მთლად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად, მოიპოვეს დიდი წარმატებანი ჩვენი მხარის ინდუსტრიალიზაციისა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისა, ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური ძალოვნების განმტკიცებისა და ამიერკავკასიის მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალური ერთობის საქმეში.

ჩამორჩენილი ეროვნული რესპუბლიკების და რაიონების ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის შესახებ მოცემული მე-15 პარტიული ყრილობის დირექტივის რეალიზიით ამიერკავკასიაში, პირველი ხუთწლედის აღსრულების მსვლელობის დროს, მიაღწია უფრო მაღალ, ვიდრე მთლიანად კავშირში, ტემპებს თავისი სახალხო მეურნეობის ზრდისა და მხარის ინდუსტრიალიზაციის და კულტურული მშენებლობის პოლიტიკის განხორციელებისას.

პირველი ხუთწლედის წლების განმავლობაში ა/კსფსრ-ის ნაციონალურ რესპუბლიკებში შექმნილია წარმოების ისეთი ახალი დარგები და სახეები, რომლებ-

ბიც არამც თუ წინად არ არსებობდა, არამედ პრინციპიალურად შეუძლებელიც იყო მათი არსებობა, როგორც სამეფო რუსეთის განაპირა კოლონიების პირობებში; ასეთია: ფართოდ გაშლილი ნავთის გადამამუშავებისა და ნავთის გამოხდის მრეწველობა ბაქოსა და ბათუმში; საკუთარი ბაზისი მსუბუქი მანქანათმშენებლობისა, რაც სპეციალიზირებულია ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებისათვის მომსახურების გასაწევად; შავი მეტალურგია (ფერრო-მარგანეცი); მძიმე ქიმიკა (ციანამიდი, კარბიდი, კალცი, გოგირდმყავა).

შექმნილია ახალი ენერგეტიკული ბაზისი—არსებული თბოცენტრალების ძალოვნების გაძლიერებისა და მხარის ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების საფუძველზე (ელექტროსადგურების ძალოვნება სამჯერ აღემატება ომის წინადროის დონეს); მოწყობილია ჩვენი მხარის მდიდარ წიაღთა გამოყენება გოგირდის აღმადანის, ანდეზიტის, გუმბრინის, თირის, მინქაფის და სხვა მისთ. ამოღების განვითარებით.

ფართოდ გაშლილია ძალოვანი დამამუშავებელი მსუბუქი ინდუსტრია—ნედლეულის წყაროებთან მიახლოებით (ბამბის ფაბრიკები, მატყლისა, აბრეშუმისა, ტრიკოტაჟისა, საკერი, ტყავფეხსაცმლისა და სხვა მისთ.).

მოწყობილია მხარის საქამადო მრეწველობა ამ მრეწველობის ძველი დარგების ძირითადი რეკონსტრუქციისა და განსაკუთრებით ახლების ფართოდ გაშლის საფუძველზე—ხორცისა, მაცივრობისა, შაქრისა, მარგარინისა, კონსერვისა, ბოსტნეულ-ხილეულისა და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობისა.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის სფეროში, ხუთწლედის უკანასკნელი წლისთვის დაპროექტებული 17,4⁰/₀-ის ნაცვლად, კოლექტიური მეურნეობებით საგლეხო მეურნეობათა მოცვამ უკვე 1932 წელს მიაღწია 41 პროცენტს, ხოლო საბამე რაიონებში—50 პროცენტზე მეტს. მოწყობილია 235 საბჭოთა მეურნეობა, ნაცვლად 86-სა, რაც ხუთწლედის გეგმით იყო გათვალისწინებული. გადაჭარბებით შესრულებულია ხუთწლიანი გეგმა ტექნიკური კულტურების განვითარების სფეროში. ფართოდ გაშლილია დიდი წყალსამეურნეო მშენებლობა და გაფართოებულია სარწყავი საბამე სივრცეები. შექმნილია მთელი რივი ახალი არხები: ორჯონიკიძის სახელობისა მილის ველზე, ალაზნისა, კირისა, სარდარაბადსა, შირაქისა, ტირიფონისა და სხვ. ფართოდ განვითარდა მექანიკური რწყვა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხმა იმატა 59-დღე და მათი სატრაქტორო პარკი უდრის 30.000 ცხენის ძალას, ხოლო მთლად სატრაქტორო პარკმა ა/კსფსრ-ში მიაღწია 54.400 ცხენის ძალას. სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება გადიდებულია უფრო მეტად, ვიდრე ერთი-სამად.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად თვალსაჩინოდ გაიზარდნ პროლეტარიატის კადრები—განსაკუთრებით ადგილობრივი ერებისა; თანაც ურყევად იზრდება ა/კსფსრ მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა ხუთწლედის ბოლოს მიაღწია 875.000 კაცს; მათ შორის წარმოებაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი უდრის 225—230 ათას ქალს; სისტემატიურად, წლიდან წლამდე, იზრდებოდა სამუშაო ხელფასი; რამდენიმეჯერ გადიდდა მუშათა და მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ფონდი; მოსპობილია უმუშევრობა მრე-

წველობაში და კოლექტიური მეურნეობების მიერ ღარიბთა მოცვის საფუძველზე მოსპობილია სოფლად სილატაკე და პაუპერიზმი.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურყევად განხორციელებამ უზრუნველყო ძლიერი ზრდა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურებისა—ნაციონალურისა—ფორმით და სოციალისტურისა—შინაარსით.

განხორციელებულია ვადაზე ერთი წლით ადრე საყოველთაო სწავლება ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკაში. საყოველთაო სწავლების სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვმა 1932 წლის ბოლოს მიაღწია 1.192.000 კაცს, წინააღმდეგ 786.000 კაცისა, რაც დაპროექტებული იყო ხუთწლიანი გეგმით. 1932 წელს დამთავრებულია ძირითადად სამუშე ასაკის პირთა წერაკითხვის უტოდინარობის ლიკვიდაცია ამიერკავკასიის ნაციონალურ რესპუბლიკებში. გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ტექნიკური კადრები. ფართოდ გაიშალა ეროვნული ბეჭდვითი სიტყვა, ხელოვნება და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი-ა/კსფსრ-ის 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის—სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად—ადგენს:

1. მრეწველობის ხაზით.

1. სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციის ნამატი განისაზღვროს 25,2%-ით შედარებით 1932 წელთან; აქედან: მძიმე ინდუსტრიის ხაზით (ჯგუფი „ა“) — 24,7% და მსუბუქი მრეწველობის ხაზით (ჯგუფი „ბ“) — 26,2%.

2. სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების სფეროში ძირითადი ამოცანაა—შრომის ნაყოფიერების გადიდება ახალი ქარხნების და გაწყობილობის ათვისებისა და ახალი ტექნიკის უკეთესად გამოყენების საფუძველზე.

ამისდაშესაბამისად შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში განისაზღვროს 15%-ით შედარებით 1932 წლის საშუალო წლიურ ნაყოფიერებასთან.

აქედან: მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—16%, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—15,3%, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—30,0% და მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით—23,0%.

3. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მიღებულ იქნეს ისეთი რაოდენობით, რაც დაწესებულია საშუალოდ კავშირში.

დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს და სამეურნეო დაწესებულებას—უზრუნველჰყოს სათბობი მასალისა, ლითონისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ხარჯის ფაქტიური ნორმების შემცირება როგორც წარმოებაში, ისე მშენებლობაში და დააწესოს ამ მასალების ხარჯვის სავალდებულო ნორმები ისე, რომ ლითონის ეკონომია წარმოებასა და მშენებლობაში გათვალისწინებულ იქნეს არა ნაკლებ 10%-სა შედარებით 1932 წელთან, ხოლო სათბობი მასალის ნორმების შემცირება—არა ნაკლებ 9%-სა.

4. სამუშაო ხელფასის ზრდა განისაზღვროს, წინა წლის საშუალო წლიურ სამუშაო ხელფასთან შედარებით, მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის მუშებისა



და მოსახურეებისათვის 7,3%-ით და, ამისდაშესაბამისად, ამ მრეწველობისა მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის წლიური ფონდი განისაზღვროს 332,5 მილიონი მანეთით, ე. ი. სამუშაო-ხელფასის ფონდი გადიდებულ იქნეს 44 მ. მან. წინა წელთან შედარებით.

5. კაპიტალურ სამუშაოთა სანერტო მოცულობა მსხვილი სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობის ხაზით დამტკიცებულ იქნეს 428,6 მილიონ. მან. რაოდენობით წინა წელს დახარჯული 340,7 მილიონი მან. წინააღმდეგ.

6. ელექტრომშენებლობის ხაზით ყველა მომქმედი ელექტროსადგურის სანერტო ძალოვნება 1933 წლის ბოლოსთვის მიღწევინებულ იქნეს 318.700 კილოვატამდე, ექსპლოატაციაში ახალ ძალოვნებათა გამოშვებით 95.000 კილოვატის რაოდენობით.

II. სასოფლო მეურნეობის ხაზით.

1. ნათესი ფართობების სანერტო რაოდენობა 1933 წლისთვის განისაზღვროს 2.386.600 ჰექტარით. აქედან საგაზაფხულო კულტურები—1,398.000 ჰექტარი და საშემოდგომო კულტურები—988.500 ჰექტ. საგაზაფხულო ხორბლის ნათესი განისაზღვროს 198.400 ჰექტარით, სარწყავი ბამბისა—235.000 ჰექტარით, შაქრის კარხლისა—4.600 ჰექტარით და თამბაქოსი—23.300 ჰექტარით.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი გადიდებულ იქნეს 7 ერთეულით და მათი რიცხვი წლის ბოლოსთვის მიღწევინებულ იქნეს 66-დღე, ხოლო მათი სატრაქტორო პარკის ძალოვნება—31.800 ცხენის ძალამდე.

ახალ მრავალწლიან ნარგავთა ჩაყრა განისაზღვროს:

| | | | |
|---------------------------------------|-------------|------------------------------|-------------|
| ვენახებისა | 3.520 ჰექტ. | აქედან: საბჭოთა მეურნეობები— | 1.150 ჰექტ. |
| ხილის ბაღებისა— | 3.580 | „ „ „ „ | —1.600 |
| ციტრუსებისა — | 510 | „ „ „ „ | — 360 |
| ჩაისა | 1900 | „ „ „ „ | — 400 |
| მაღალტანთვანი თუთის ხეებისა | | | —2.350 |
| ბუჩქოვანი | „ | „ | — 100 |

2. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, როგორც მინიმალური დავალება, განისაზღვროს 8,6 ცენტნერით ჰექტარზე, ბამბისა (სარწყავი)—6,8 ცენტნ. ჰექტარზე.

3. უზრუნველყოფილ იქნეს 1933 წელს სასოფლო მეურნეობის მომარაგება საწრმოო საშუალებებით შემდეგი რაოდენობით:

- ა) ტრაქტორების შეზიდვით—7.500 ცხენის ძალისა;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ინვენტარისა—13.900.000 მან. ლირებულეებისა.

4. ოთხფეხი საქონლის რაოდენობა სახელმწიფო მეცხოველეობის შენაერთებში და საკოლმეურნეო ფერმებში მიღწევინებულ იქნეს:

მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა: საბჭოთა მეურნეობებში 29,3 ათას სულამდე; სასაქონლო ფერმებში—111,9 ათას სულამდე;

ძროხებისა: საბჭოთა მეურნეობებში—16,3 ათას სულამდე; სასაქონლო ფერმებში—44, 3 ათას სულამდე;

ლორებისა: საბჭოთა მეურნეობებში—12,3 ათას სულამდე; სასაქონლო ფერ-მებში—58 ათას სულამდე;

ცხვრისა: საბჭოთა მეურნეობებში—221,5 ათას სულამდე; სასაქონლო ფერ-მებში—304 ათას სულამდე.

5. სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის ხაზით კაპიტალ-დაბანდებათა მოცულობა განისაზღვროს 124.500.000 მანეთით.

III. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით.

1. სარკინისგზო, წყლისა, საგზაო და საჰერო ტრანსპორტის კაპიტალურა სამუშაოების საერთო რაოდენობა განისაზღვროს 85.4 მილიონ. მანეთის ღირებულებით, თანაც ისე, რომ აუცილებლად დაწყებულ იქნეს ოჩემჩირი—ახალ-სენაკის უბნისა და ტყვარჩელის და კატარის შტოების ექსპლოატაცია.

2. სარკინისგზო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის რაოდენობა განისაზღვროს 10,2 მილიონ. ტონნით და საშუალო სადღედაღამეო დატვირთვა 2.450.000 ვაგონით.

3. კავშირგაბმულობის მუშაობის ზრდა განისაზღვროს 23% -ით წინა წელთან შედარებით; წინადადება მიეცეს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფერ სკს-თან—მიადწიოს მკვეთრ გარდატეხას კავშირგაბმულობის მუშაობის თვისების გაუმჯობესების საქმეში.

IV. კომუნალური და საბინაო მეურნეობის ხაზით.

სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებელი სექტორის საქალაქო საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა დამტკიცებულ იქნეს 56,6 მილიონი მანეთის რაოდენობით და კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობაში—53,5 მილიონი მანეთის რაოდენობით.

V. საქონელთბრუნვისა და ფართო მოხმარების საქონელთა წარმოების ხაზით.

1. განსაზოგადოებელი ვაჭრობის ცალკობითი საქონელთბრუნვის რაოდენობა, საზოგადოებრივი კვებითურთ, განისაზღვროს, მომქმედი ცალკობითი ფასების კვალობაზე, 2,5 მილიარდი მანეთით.

2. ფართო მოხმარების საგნების წარმოების მრეწველობის შემდგომი გაშლის უზრუნველსაყოფად კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა მსუბუქი მრეწველობის ხაზით (ჯგუფი „ბ„) განისაზღვროს 58,3 მილ. მანეთით და გადიდებულ იქნეს იგი 33% -ით წინა წელთან შედარებით.

VI. შრომისა, კადრებისა და კულტურის ხაზით.

1. 1933 წელს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვი მთლად სახალხო მეურნეობისა, მმართველობისა და კულტურული მშენებლობის ხაზით განისაზღვროს 879,6 ათასი კაცი; აქედან: მსხვილი სახელმწიფო და კოოპერატიული

მრეწველობის მუშები და მოსამსახურეები—210,6 ათასი კაცი—წინაღმდეგ 196.000 კაცისა, რაც 1932 წელს იყო.

მთლად სახალხო მეურნეობისა, მმართველობისა და კულტურული მშენებლობის სფეროში მყოფ მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის ზრდა განისაზღვროს 5,3%-ით.

2. მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო ხარჯების საერთო მოცულობა განისაზღვროს 415,8 მილიონი მანეთით, რაც შეადგენს ნამატს 23%-ის რაოდენობით 1932 წლის ხარჯებთან შედარებით.

3. მუშათა და მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის წლიური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 117,2 მილიონი მანეთით.

4. განისაზღვროს შემდეგი კონტინგენტების გამოშვება, რომელნიც სასწავლებლებს ამთავრებენ: უმაღლესი სასწავლებლებიდან—1.852 კაცი, ტექნიკუმიბიდან—8.967 კაცი, მუშათა ფაკულტეტებიდან—1.921 კაცი და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან—4.445 კაცი.

VII. კაპიტალური მშენებლობის საერთო მოცულობის ხაზით.

სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში დასაბანდებელ კაპიტალთა საერთო მოცულობა განისაზღვროს 795 მილიონი მანეთის რაოდენობით—წინააღმდეგ 728 მილიონი მანეთისა, რაც დაბანდებულ იქნა 1932 წელს. წმინდა მშენებლობის თვითღირებულების შემცირება განისაზღვროს არა ნაკლებ, ვიდრე 15%-ით 1932 წლის ფაქტიურ ღირებულებასთან შედარებით.

1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა—ჩვენი საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა საკომმეურნეო, საბჭოთა, საპროფკავშირო და სხვა ორგანიზაციას—გამძინარებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომელთა შორისაც ჩვენი ქვეყანა აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას,—გააძლიეროს სიფრთხილე კლასობრივი მტრისადმი, რომელიც გამოდის ნიღაბფარებული, თავს ვეჭვინებს, ვითომ „საბჭოთა ხელისუფლების მეგობარია“ და ხელზე იხვევს ჩვენი აპარატის ცალკეული რგოლეულების სიბრძავეს, სიბეცეს და წვრილ-ბურჟუაზიულ კაპიტალისტულ უნიათობას.

მთელი ფრონტის ხაზით შემდგომი გაშლილი სოციალისტური შეტევის ცენტრალურ ამოცანას შეადგენს ბრძოლა ახალი უძლიერესი ტექნიკის ათვისების და შეგუებისათვის იმ ტექნიკისა, რომელიც შექმნა პირველმა ხუთწლედმა და რომელიც გაიშლება აგრეთვე მიმდინარე წელსაც. ახალი ქარხნებისა და ახალი ტექნიკის ათვისების პათოსი, შრომის ნაყოფიერების სერიოზულად გადიდება, თვითღირებულების სერიოზულად შემცირება—„ესაა დღეს მთავარი“ (სტალინი).

ყოველმხრივი ბრძოლა მუშაობის თვისებისათვის—ეს ცენტრალური რგოლია ახალ ეტაპზე. საამისოდ წარმატებით ბრძოლის პირობებს შეადგენს შრომის წესიერი ორგანიზაცია და შრომის დისციპლინის გაძლიერება, გადამწყვეტი და კონკრეტული ბრძოლა ამხ. სტალინის ექვსი პირობის ნამდვილად განხორციელებისათვის სამეურნეო მუშაობის ყველა ნაკვეთზე. „მხოლოდ აღრიცხვისა და კონტროლის საქმის მუყაითი დაყენება, მხოლოდ უსასტიკესი ორგანიზაცია და შრომის დისციპლინა მიგვიყვანენ ჩვენ სოციალიზმამდე“ (ლენინი). თვითღირებულების შემცირება მოითხოვს შრომის ხელფასის ნორმებისა და ნედლეულის და მასალის ნორმების ხარჯვის უსასტიკესად დაცვას. უაღრესი მნიშვნელობის ბერკეტი თვისებრივ მაჩვენებელთათვის ბრძოლისა არის სოციალისტური სამეურნეო ანგარიში. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს ყველა სამეურნეო ორგანიზაციისაგან მტკიცე სამეურნეო ანგარიშის დაცვას, რაც სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების უაღრესი პირობაა, მოითხოვს—კერძოდ—დაჩქარებულ მუშაობას სამეურნეო ხელშეკრულებების ფაქტიურად დადებისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი სამეურნეო ანგარიშისათვის საჭირო ბრძოლაში.

ბრძოლა თვისებისათვის—კლასობრივი ბრძოლის პასუხსაგები ნაკვეთია დღევანდელ ეტაპზე, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ფრონტზედაც.

თვისებისათვის ბრძოლაში მობილიზებულ უნდა იქნენ პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა მილიონობითი მასები. ამ ბრძოლაში უმაღლეს საფეხურზე დაყენებულ უნდა იქნეს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა; უმაღლეს საფეხურზევე დაყენებულ უნდა იქნეს ხელმძღვანელობის ხარისხი მეურნეობის ყველა ნაკვეთზე. მტკიცე დისციპლინა, სახელმწიფოებრივი ამოცანების ღრმად შეგნება და უნარი—ყველა ამას დაუმორჩილოს მთელი მუშაობა—წარმატების და გამარჯვების უაღრესი პირობაა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს ყველა სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციას—მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება მაღალი თვისებრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლას; გაწყობილობის ათვისებისა, შრომის წესიერი ორგანიზაციისა და სამეურნეო ანგარიშის ნამდვილად განხორციელების ამოცანებს; როგორც ფართო მასების, ისე საწარმოო აპარატის ყველა რგოლზეულის ტექნიკურად აღზრდას; განსაკუთრებით კადრების მდგომარეობას, შემოწმებას და მომზადებას; მუშათა აქტივის და კონტროლის მოწყობას და გაძლიერებას წარმოების ყველა დარგში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საგაზაფხულო თვისების კამპანიას: კოლექტიური მეურნეობანი უნდა ვადაიქცეს ბოლშევიკურ მეურნეობებად და კულაკი განადგურდეს; უნდა დაყარდეს შრომის მტკიცე დისციპლინა, რაც უზრუნველყოფს კოლექტიური მეურნეობის მაღალ ნაყოფიერებას; გაიშალოს ამ მეურნეობაში შრომის სოციალისტური ფორმები (დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება); ვადაზე და მთლად შეგროვდეს თესლი; ფაქტიურად განმზადებულ იქნეს ტრაქტორები თესვისთვის; სასტიკად იქნეს დაცულ იქნეს საკავშირო კანონი

ცხენთა შენარჩუნების შესახებ (სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 27-ის დადგენილება—სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-40 №-ი, მუხ. 442); მუშა-საქონლის—ცხენისა და ხარის—მოვლა უნდა იყოს სათანადო და უზრუნველყოფდეს სავსებით საწევ ძალას; დამყარდეს რკინის დისციპლინა ბრიგადებში, რომლებზედაც თვალსაჩინოდ დამოკიდებულია მთლად საკოლმეურნეო წარმოება; შეღებულ უნდა იქნეს სოციალისტური თესლბრუნვა კოლექტიურ მეურნეობებში და ბრძოლა გაეწიოს კლასობრივი მტრის ყოველგვარ ცდას—დაამახინჯოს იგი; გაუმჯობესებულ იქნეს თესლის თვისება და შემოდებული ჯიშის თესვის თესვა; მტკიცედ იქნეს დაცული დადგენილი სავალდებულო აგრომინიმუმი; აუცილებელია ნამდვილი მულმივი ბრიგადების შექმნა კოლექტიურ მეურნეობებში და, პირველ ყოვლისა, დაყენებულ უნდა იქნეს მტკიცე ამოცანად კოლექტიური მეურნეობების მიერ ყველა ვალდებულების შესრულება სახელმწიფოს წინაშე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან არსებულ პოლიტეგანყოფილებათა მუშაობის მნიშვნელობას, რადგანაც ეს განყოფილებანი უნდა გახდნენ პროლეტარული დიქტატურის ძლიერ დასაყრდენ პუნქტებად სოფლად და უმთავრეს ბერკეტად სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და საკოლმეურნეო მასების სოციალისტურად აღზრდისათვის საჭირო მუშაობაში.

ვინაიდან საბჭოთა ორგანოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულების საქმეში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა აპარატის ყოველ რგოლს—გადაჭრით შესცვალოს თავისი მუშაობის მეთოდები, მიიღოს მუშაობის გარდაქმნის საუფძვლად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და გადააქციოს საბჭოთა ორგანოები, განსაკუთრებით სოფლად, პროლეტარული დიქტატურის ნამდვილ გამომხატველებად; უღმობელოდ განდევნოს ამ ორგანოებიდან კლასობრივ უცხო ელემენტები და აგრეთვე ისინი, ვინც უკან იხევის კლასობრივი მტრის წინაშე, ობიექტურად მის დამცველად ხდება და ასრულებს მის მავნებლურ გეგმებს.

ობორტუნეზმთან—განსაკუთრებით მემარჯვენესთან—ბრძოლის გაძლიერება, რევოლუციონური სიფრთხილის და სიყუხიზლის გამახვილება, პროლეტარული დიქტატურის გაძლიერება და სოციალისტური საკუთრების ყოველღონით განმტკიცება და დაცვა (სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილება—სსრკ. კან. კრ. 1932 წ. 63 №-ი, მუხ. 360) უნდა შეიქმნას 1933 წლის გეგმის აღსრულების აუცილებელ პირობად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამს თავის სრულ რწმენას, რომ ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და პარტიისა და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით, ამიერკავკასიის მუშები, კოლმეურნეები და მშრომლები, შეამჭიდრობენ—რა თაყვანთ რიგებს საბჭოებისა და პროფესიონალური კავშირების გარშემო, სავსებით შეასრულებენ ჩვენ წინ მდგარ 1933 წლის სახალხო-სამეურნეო ამოცანებს.

II. ა/კსფსრ 1933 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ-ში სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებამ ოთხ წელიწადში—გაათართოვა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულის სექტორის სოციალისტური დაგროვების წყაროები და, ამრიგად, გაძლიერა სახელმწიფო ბიუჯეტის საფინანსო ბაზისი. ამის შედეგად ა/კსფსრ 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა, ხუთწლიდის პირველ წელთან შედარებით, ორდანახევარზე მეტად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ მის განსახილველად წარმოდგენილი ა/კსფსრ 1933 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია ა/კსფსრ 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის სრული შესაბამისობით და უზრუნველყოფს ამ გეგმაში მიღებულ კაპიტალურ დაბანდებათა პროგრამის დაფინანსებას და სახალხო მეურნეობის დარგების საბრუნავ სახსართა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გაძლიერებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ 1933 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ჯამი, რომელიც დადასტურებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემდეგი თანხების რაოდენობით (ათასი მანეთობით):

ა. შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

I. განსაზოგადოებულის სექტორის შემოსავალი.

| | |
|--|-----------|
| 1. ბრუნვის გადასახადის ანარიცხი | 228.877,0 |
| 2. კინოს ბრუნვის გადასახადი | 2.700,0 |
| 3. ბრუნვის გადასახადის სპეციალური ანარიცხები: | |
| ა) ბამბის გადაკეფებულ საწარმოთა | 5.500,0 |
| ბ) ნავთის ამომღებ საწარმოთა | 15.000,0 |
| გ) თამბაქოს ნედლეულის დამზადებელი ორგან. | 1.200,0 |
| 4. საბჭოთა მეურნეობებია გადასახადი | 150,0 |
| 5. კოლექტიურ მეურნეობათა სოსოფლო-სამეურნეო გადასახადი | 2.500,0 |
| 6. განსაზოგადოებულის სექტორის საწარმოთა საშემოსავლო გადასახადი | 1.000,0 |
| საგადასახადო შემოსავლის ჯამი | 256.927,0 |

II. განსაზოგადოებულის მეურნეობის მოგების ანარიცხები.

| | |
|--|-----------|
| 7. მძიმე მრეწველობის საწარმოთა | 890,0 |
| 8. მსუბუქი " " | 9.732,0 |
| 9. საქამადო " " | 2.873,0 |
| 10. ადგილობრივი ელექტროსადგურებისა | 59,0 |
| 11. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა | 1.330,0 |
| 12. მომარაგების სახ. კ-ტის სავაჭრო საწარმოთა | 1.128,0 |
| 13. სხვა სავაჭრო და სააქციო საზოგადოებ. | 2.000,0 |
| მოგების ანარიცხების ჯამი | 18.092,0 |
| სულ განსაზოგადოებ. სექტორის შემოსავალი | 275.019,0 |

III. მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია.

| | |
|---|-----------|
| 14. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი | 19.000,0 |
| 15. ქალაქად კულტურული და საბინაო მშენებლობის გამოსად. | 26.100,0 |
| 16. სოფლად კულტურული და საბინაო მშენებლობის გამოსად. | 25.000,0 |
| 17. მოსახლეობას შორის მოთავსებული სესხი | 27.195,0 |
| <hr/> | |
| მოსახლეობის სახსართა მობილიზაც. ჯამი | 97.295,0 |
| 18. ინდივიდუალურ მეურნეობათა გამოსაღები | 1.500,0 |
| 19. სხვადასხვა შემოსავალი | 2.600,0 |
| <hr/> | |
| სულ შემოსავალი | 376.414,0 |

ბ. გ ა ს ა ვ ა ლ ი.

I. სახალხო მეურნეობის დაფინანსება.

| | |
|--|-----------|
| 1. მძიმე მრეწველობა | 37.730,0 |
| 2. მსუბუქი მრეწველობა | 12.692,0 |
| 3. ელექტროფიკაცია | 7.300,0 |
| აქედან: ა) ადგილობრივი | 5.500,0 |
| ბ) სასოფლო | 1.800,0 |
| 4. სასოფლო მეურნეობა | 27.910,0 |
| აქედან: ა) საბჭოთა მეურნეობანი | 10.000,0 |
| ბ) კოლექტიური მეურნეობანი | 500,0 |
| გ) წყალთა მეურნეობა | 10950, |
| დ) სხვა სახელმწიფო ღონისძიებანი | 6.460,0 |
| 5. სახელმწიფო ვაჭრობა | 4.200,0 |
| 6. ტრანსპორტი (გზატყეცილები და ყამირგზები) | 7.434,0 |
| 7. პიდრო-მეტეოროლოგიური სამსახური | 1.062,0 |
| <hr/> | |
| სახალხო მეურნეობის დაფინანსების ჯამი | 98.328,0. |

II. სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი.

| | |
|---|-----------|
| 1. განათლება | 98.070,0 |
| 2. ჯანმრთელობა | 18.670,0 |
| 3. ფიზიკური კულტურა | 336,0 |
| 4. შრომის ორგანიზაცია და სოციალური უზრუნველყოფა | 4.471,0 |
| <hr/> | |
| სოც.-კულტ. ღონისძიებათა დაფინანს. ჯამი | 121.507,0 |

III. მმართველობა და რეგულირება.

| | |
|---|----------|
| 1. საერთო მმართველობა | 4.450,0 |
| 2. განსაკუთრებული ხარჯები | 3.780,0 |
| 3. სასამართლო დაწესებულებანი | 2.401,0 |
| 4. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა | 18.250,0 |
| 5. სახალხო მეურნეობის მოწესრიგება | 6.020,0 |
| 6. სოც.-კულტ. ღონისძიებათა ადმინისტრირება | 1.012,0 |
| <hr/> | |
| მმართველობის და რეგულირ. ხარჯების ჯამი | 35.913,0 |

- IV. სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდი 4.500,0
- V. სოციალური დაზღვევის ანარიცხები 5.500,0

VI. ადგილობრივი ბიუჯეტებ-თვის გადაცემული სახსრი.

- 1. სასოფლო-სამეურნეო გამოსაღები 21.500,0
- 2. სახელმწიფო სესხის ანარიცხები 14.628,0
- 3. კულტ.-საბინაო მშენებლობის გამოსაღების ანარიცხი 25.000,0
- 4. ნავთის ანარიცხი 6.000,0
- 5. თამბაქოს ანარიცხი 1.200,0
- 6. ბრუნვის გადასახადის ანარიცხი 42.298,0

ადგილობრივ ბიუჯეტებისათვის გადაცემული სახსრის ჯამი 110.626,0

სულ ხარჯები 376.414,0

2. ფედერატიული ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ჯუშლი დამტკიცებულ იქნეს 85. 127,0 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების ჯუშლები დამტკიცებულ იქნეს შემდეგი საერთო საბალანსო ჯამების სახით:

- აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტი 114.406,0
- სომხეთის სსრ " 52.585,0
- საქართველოს სსრ " 124.296,0

აქედან ანარიცხები ადგილობრივ ბიუჯეტებში ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით დამტკიცებულ იქნეს შემდეგი თანხების რაოდენობით:

- აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტით 42.344,0
- სომხეთის სსრ ბიუჯეტით 17.237,0
- საქართველოს სსრ ბიუჯეტით 50.469,0

ამ თანხების შედგენილობაში ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ბრუნვის გადასახადის საერთო თანხა დამტკიცებულ იქნეს 49.498,0 ათასი მან. რაოდენობით, საიდანაც:

აზერბაიჯანის სსრ—15.368,0 ათასი მან. (აქედან ნავთის ანარიცხი—6.000,0 ათასი მან.)

სომხეთის სსრ—7,632,0 ათასი მან. { (აქედან თამბაქოს ანა-
საქართველოს სსრ—25.922,0 ათასი მან. { რიცხები—1.200,0 ათასი მან.)

4. ბრუნვის გადასახადისა და საბიუჯეტო წინაფასის ანარიცხები ა/კსტსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში განისაზღვროს 223.877,0 ათასი მან. რაოდენობით, რაც ცალკეულ ბიუჯეტებზე განაწილდება შემდეგნაირად:

- ფედერატიული ბიუჯეტით 79.978,0 ათასი მან.
- აზერბაიჯანის სსრ " 41.394,0 ათასი მან.
- სომხეთის სსრ " 35.445,0 ათასი მან.
- საქართველოს სსრ " 72.060,0 ათასი მან.

5. მიენდოს ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო ორგანოების მიერ ა/კსტსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ბრუნვის გადასახადის

და საბიუჯეტო წანაფასების მტკიცე პროცენტული ანარიცხების საბოლოოდ დაწესების შემდეგ, განსაზღვროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის მტკიცე პროცენტული ანარიცხები.

ამა დადგენილების შესაბამისად მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის (რაიონობით და ქალაქობით) ბრუნვის გადასახადის და საბიუჯეტო წანაფასების მტკიცე პროცენტული ანარიცხები.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—განაწილოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებზე შემდეგი ასიგნებები, პირობითად შეტანილი ფედერატიულ ბიუჯეტში:

- ა) ა/კსფსრ მიმემგრეწველობის დაფინანსება 37.730,0 ათასი მან.
- ბ) ასიგნებები ვაჭრობის საბრუნავ სახსართა გასაძლიერებლად 4200,0 ათასი მან.
- გ) ასიგნებები განათლებისათვის:
 - 1) ბეჭდვითი სიტყვის დაფინანსებისათვის 3.200,0 ათასი მან.
 - აქედან მშენებლობასა და გაწყობილობაზე 1.000,0 ათასი მან.
 - 2) მიწათმოქმ. სახ. კ-ტის სისტემის ხაზით განსახორციელებელ საგანმანათლებლო ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1.000,0 ათასი მან.
 - 3) ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დასაფინანსებლად 1.062,0 ათასი მან.
 - 4) სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებათათვის 330,0 ათასი მან.

7. აეკრძალოს ამიერკავკასიის უწყებებს უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მუშათა ფაკულტეტების მოსწავლეთა იმ გარდამავალი კონტინგენტების და მისილები კონტინგენტების გადიდება, *რაც ნაფარულდევ იქნა ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა განსაზღვრის დროს.

8. გაერთიანებული სახალხო კომისარიატების შესანახი ხარჯი მიეკუთვნოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკების ბიუჯეტებს.

9. ვინაიდან უდიდესი როლი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს მეორე ხუთწლედის პირველი წლის წინაშე მდგარი სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ამოცანების განხორციელების საქმეში და საჭიროა საფინანსო-საკრედიტო სისტემისა, „მანეთით კონტროლისა“ და სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცება, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ყველა სამეურნეო ორგანიზაციას და აგრეთვე ყველა აღმასრულებელ კომიტეტს და საბჭოს—აუცილებლად უზრუნველჰყონ:

- ა) განსაზღვრადობული მეურნეობის დაგროვებათა გეგმის შესრულება წარმოების ღირებულების შემცირებისა, სამეურნეო ანგარიშის გაძლიერებისა, საქონელობრუნვის გაშლისა და სოციალისტური დაგროვების ახალი წყაროების მოპოებისათვის ბრძოლის საფუძველზე;

ბ) განსაზოგადოებული მეურნეობის ყველა ხვედრი გადასახდელის (ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები და სხვა მისთ.) სრულად შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში;

გ) სამმართველო ხარჯების შემცირება როგორც ბიუჯეტზე მყოფი, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციების ხაზით; ამასთანავე, უნდა აეგრძალოს მათ კატეგორიულად დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების გადა-მეტხარჯვა;

დ) სასტიკი საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის განხორციელება მშენებ-ლობის სფეროში და დიფინანსების გაუწველობა გეგმის-ქვეშ, აგრეთვე სისტე-მატური კონტროლის დაწესება სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო მეურნეობისა, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, მმართველობისა და სხვა მისთ. დასა-ფინანსებლად გადადებულ სახსართა სათანადო გამოყენებისათვის;

ე) სახელმწიფო შემოსავლის სრულად შემოსვლა, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი მასსური პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობის სახსართა და განსაზოგადოებული სექტორის შემოსავლის მობილიზაციისათვის და ამ მუ-შაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ საფინანსო ფორნტის საუკეთესო დამკვრელები.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

49. ამიერკავკასიის საიალლო კომიტეტის შედგენილობის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წლის აპრილის 29-ის დადგენილებების შესაცვლელად—ამიერკავკასიის სა-იალლო კომიტეტი დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომა-რე—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. დ. ბუნიათ-ზადე და წევ-რები: აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი—ამხ. ყასუმოვი, სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი—ამხ. ესაიანი, საქართვე-ლოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე—ამხ. გვარამია, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი—ამხ. პოლატ-ზადე, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი—ამხ, პოტერიახინი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგალე—ამხ. ხუმარიანი და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. დ. ალანია,

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. ხულთანოვი.

1933 წ. იანვრის 20.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

50. ხილბოსტნეულის დამზადების გეგმის გაზუსტების შესახებ.

„ხილბოსტნეულის დამზადებათა გეგმისა და კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხობის ხილბოსტნეულის ვაჭრობის გაშლის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 17-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 №-ი, მუხ. 122) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

დამტკიცებულ იქნეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განსაზღვრული ხილბოსტნეულის დამზადების გეგმები (ტონობით):

| | აზ.სსრ | სომხ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|--|--------|-----------|----------|---------|
| 1. კარტოფილი | 4.180 | 3.096 | 6.000 | 13.276 |
| 2. ბოსტნეული | 7.873 | 8.027 | 11.390 | 27.290 |
| 3. წიპწოვანი ნაყოფი | 10.430 | 709 | 7.650 | 18.789 |
| 4. საკმელი ყურძენი | 1.368 | — | — | 1.368 |
| 5. კურკოვანი და სხვა ნა- ყოფი | 500 | 2.011 | 1.300 | 3.672 |
| 6. გახმობილი ხილი | 6.120 | — | 630 | 6.750 |

2. ამავე დროს მიენიშნოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, რომ საჭიროა შემდგომში იხელმძღვანელონ ის გეგმები, რაც იქნება განსაზღვრული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე. მ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

51 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დაშქესანის მშენებ-
ლობის ხელისშემწყობი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსთან არსებული დაშქესანის მშენებლობის ხელისშემწყობი კომიტეტის
შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მართველი **ა. აშვერდოვი.**

1933 წ. თებერვალის 10.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დაშქესანის მშენებლობის ხელისშემწყობი კომიტეტის შესახებ.

1. დაშქესანის მშენებლობის დაჩქარებით განხორციელებისათვის ხელის
შესაწყობად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსდება დაშქესანის მშენ-
ებლობის ხელისშემწყობი კომიტეტი, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში.

2. კომიტეტს ეკისრება:

ა) შეიზუშაოს ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს დაშქესანის მშენებლო-
ბის დაჩქარებით დამთავრებას და მთლად დაშქესანის პრობლემის გადაწყვეტას;

ბ) დაიცვას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით კავშირისა და
ა/კსფსრ ორგანოების წინაშე დაშქესანის მშენებლობის ინტერესები;

გ) თვალყური ადევნოს დაშქესანის მშენებლობის მსვლელობას და მთავრო-
ბის ყველა იმ გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც ამ მშენებლობას ეხება;

დ) მონაწილეობა მიიღოს „დაშქესანმშენის“ მიერ მშენებლობის საგვეგმო
და სხვა საკითხების დამუშავებაში და ხელი შეუწყოს მას ამ საკითხების გა-
დაწყვეტაში;

ე) მიაწოდოს ა/კსფსრ უმაღლეს ორგანოებს ინფორმაცია მშენებლობის
განხორციელების მსვლელობის შესახებ და წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი
იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს მშენებლობის დაჩქარებას;

ვ) გამოსცეს, „დაშქესანმშენთან“ ერთად, სამეცნიერო-საკვლევო სამუშაო-
ები დაშქესანის პრობლემის საკითხების შესახებ;

ზ) დარაზმოს ამიერკავკასიის საზოგადოებრიობა დაშქესანის მშენებლობის საკითხების გარშემო.

3. კომიტეტს ეძლევა, კერძოდ, უფლება:

ა) იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართვა სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალმწიფო დაწესებულებებთან, გარდა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოსი;

ბ) ადელეგიროს თავისი წარმომადგენლები ყველა დაწესებულებაში დაშქესანის მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

გ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ დაშქესანის მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული თათბირები;

დ) მიიზიდოს საჭირო შემთხვევებში როგორც საბჭოთა, ისე, არსებული წესის დაცვით, უცხოეთის ექსპერტიზა დაშქესანის პრობლემის გადაწყვესთან დაკავშირებულ დადროს საკითხებზე;

ე) მიიღოს „დაშქესანმშენისაგან“ საგეგმო და საანგარიშო მასალები და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა დაშქესანის მშენებლობის საკითხების გამო სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციებისაგან წარდგენილი მოხსენებების განხილვისათვის „დაშქესანმშენის“ მიერ მოწვეულ თათბირებში.

4. დაშქესანის მშენებლობის ხელისშეწყობ კომიტეტის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე და ორი მისი მოადგილე, ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს დანიშნული, და ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაშქესანის მშენებლობისათვის დანიშნული რწმუნებული, რომელნიც შეადგენენ კომიტეტის პრეზიდიუმს, და წევრები, რომელთა რიცხვს და სიას ამტკიცებს ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო.

5. მთავარი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც სწყვეტს ძირითად საკითხებს, არის კომიტეტის პლენუმი; კომიტეტის საქმეთა გამგეობლობის მიმდინარე საკითხებს სწყვეტს მისი პრეზიდიუმი:

6. პლენუმს იწვევს კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროებისა-და-მიხედვით, ხოლო 3 თვეში ერთხელ მაინც.

7. პლენუმის კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი. უკეთუ კვორუმი არ არის, პრეზიდიუმი ჰნიშნავს ათი დღის შემდეგ მეორე კრებას, რომელიც შემდგარად ჩაითვლება, რომდენი წევრიც უნდა დაესწროს. პლენუმის გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

8. პლენუმის მიერ განსახილველი საკითხები შეაქვს პრეზიდიუმს თავისი დასკვნითურთ და ყველა იმ მასალით, რაც საჭიროა საკითხის გადასაწყვეტად.

კომიტეტის წევრებს, თავიანთი ინიციატივით, უფლება აქვთ შეიტანონ კომიტეტის მიერ განსახილველად ესა თუ ის საკითხი, ხოლო წინასწარ ამ საკითხის პრეზიდიუმისათვის განსახილველად წარდგენით.

9. კომიტეტს ჰყავს სწავლული მდივანი და ტექნიკური აპარატი სამი საშტატო ერთეულის შედგენილობით.

10. კომიტეტი ინახება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვით.

11. კომიტეტს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

12. კომიტეტი აწარმოებს ანგარიშგებას არსებული ფორმებისა და დადგენილი წესის მიხედვით; იგი ანგარიშს აგებს მთელი თავისი საქმიანობისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

13. კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრება კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი სახსრისა და ქონების წარმართვის წესი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

52. თავგთა და სხვა მღრღნელთა საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს-რა, რომ 1932 წლ-ს შემოდგომის მუშაობა თავგთა და სხვა მღრღნელთა საწინააღმდეგო ბრძოლისთვის მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად, რომ ამ მუშაობის შედეგად სამუშაო გეგმები შესრულებულია: აზერბაიჯანის სსრ-ში—10,4%—ით, საქართველოს სსრ-ში—82,7%—ით და სომხეთის სსრ-ში—3,4%—ით, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის ჩატარებული შემოდგომის მუშაობა თავგებთა და სხვა მღრღნელებით მოღებული ფართობების გამოკვლევისათვის (სულ გამოკვლეულია 89.000 ჰექტარი საქართველოში 500.000 ჰექტარ სავრთო ფართობიდან, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის თაობაზე ცნობები არ არის) და რომ აშუცილებლად საჭიროა წინასწარ ღონისძიებათა მიღება მინდვრის თავგებთა და სხვა მღრღნელების მასური გავრცელების წინააღმდეგ,—აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მავნებლებთან ბრძოლის შენართის რესპუბლიკანურ ორგანოებს:

ა) გამოარკვიონ ერთი დეკადის ვადაზე სპეციალური გამოკვლევით, როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემისა, ისე სამეურნეო ორგანიზაციების მეშვეობით, ფაქტური მდგომარეობა მღრღნელებთან ბრძოლისა რესპუბლიკების ყველა რაიონში და ჩაბან ამ მუშაობაში ყველა სამეურნეო სისტემა (მათ შორის ტრესტებიც) და საადგილმამულო ორგანოები, აგრეთვე მავნებლებთან ბრძოლის შენართის სისტემა;

ბ) შეიმუშაონ თავგთან და სხვა მღრღნელთან ბრძოლის ღონისძიებათა გეგმები 1933 წლისთვის და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ დაავადებულ რაიონებს;

გ) უზრუნველჰყონ ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევა თავგის გამანადგურებელი ბრძოლის ჩასატარებლად საჭირო მუშაობის გაშლისათვის მინდვრად

საწყობებში, ბელეებში და სხვა მისთ., ვადებისა და ცალკეული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ზედმიწევნითი განსაზღვრით ადგილებზე.

2. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გამოარკვიოს ორი დეკადის ვადაზე მინდვრის თავთან ბრძოლისათვის დანიშნული აპარატებისა და ქიმიკატების არსებული რაოდენობა და უზრუნველჭყოს დანაკლი ქიმიკატებისა და აპარატურის თავის დროზე შემოზიდვა; თანაც გაანაწილოს იგი დაავადებულ რაიონებზე;

ბ) შეიმუშაოს ხუთი დღის ვადაზე დაწვრილებითი ინსტრუქცია თავთან და სხვა მღრღნელოთან ბრძოლის შესახებ და დაუყოვნებლივ მიაწოდოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს ნაციონალურ ენებზე გადასათარგმნელად და რაიონებამდე და სამეურნეო ორგანიზაციებამდე მისაწვდენად.

3. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებას—დაავალოს იმ სამეურნეო ორგანოებს, რომელნიც აწარმოებენ და ინახავენ მარცვლეულს და მისი გადამუშავების პროდუქტებს, მიიღონ ნამდვილი აქტიური მონაწილეობა იმის გამოკვლევაში და გამომქვანებაში, თუ რაოდანი საფრთხეა მოსალოდნელი მღრღნელთაგან; აგრეთვე შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე ღონისძიებანი, რაც უზრუნველჭყოდს თავთა და სხვა მღრღნელთა გაწყვეტას, და დასდევან ხელშეკრულებები სათანადო რესპუბლიკანურ და ამიერკავკასიის ორგანიზაციებთან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. თებერვლის 13.

№516.

ტილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 38 №-ში 1933 წ. თებერვლის 15-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

53. 1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შეცვლის შესახებ.

„1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის სექტორებზე, კულტურებზე და რაიონებზე დანაწილების შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან („ზარია ვოსტოკას“ 29 №-ი 1933 წ. თებერვლის 4-სა) და „სხვა საგაზაფხულო კულტურების გეგმის შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებასთან დაკავშირებით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული თავისი, 1933 წ. იანვრის 1-ის, დადგენილების 1-ლი მუხლის შესაცვლელად („ზარია ვოსტოკას“ მე-14 №-ი 1933 წ. იანვრის 16-სა) ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს 1933 წლის გაზაფხულზე საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 1.398.000 ჰექტარის რაოდენობით და ამ გეგმის შემდგომი დანაწილებით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე და კულტურებზე (ათასი ჰექტარობით):

| კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი | აზ. სსრ | სომ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|---------------------------------------|---------|----------|----------|---------|
| 1. სულ მარცვლეული . . . | 129,99 | 250,41 | 527,6 | 908,0 |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | | |
| ხორბალი | 20,0 | 131,0 | 50,0 | 201,0 |
| ქერი | 32,26 | 92,74 | 76,0 | 201,0 |
| შვრია | 5,0 | 2,6 | 2,4 | 10,0 |
| სიმინდი | 5,0 | 0,5 | 386,5 | 392,0 |
| ფეტვი | 10,5 | 1,5 | 6,0 | 18,0 |
| ბრინჯი | 27,0 | — | — | 27,0 |
| სხვა მარცვლეული | 5,23 | 21,07 | 6,7 | 33,0 |
| ცერცოვანი | 25,0 | 1,0 | — | 26,0 |
| 2. ტექნიკური | 208,34 | 35,36 | 48,70 | 292,4 |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | | |
| ბამბა | 191,2 | 25,8 | 18,0 | 235,0 |
| კენაფი და საბაგირე მცენ. | 3,0 | — | — | 3,0 |
| კანაფი | 4,6 | — | 0,4 | 5,0 |
| მზეუქვრიტა | 1,0 | 0,4 | 3,6 | 5,0 |
| სელი | 3,0 | 6,0 | 2,0 | 11,0 |
| კუნჯუთი | 1,0 | — | — | 1,0 |
| არახისი | 1,5 | — | 1,5 | 3,0 |
| შაქრის ქარხალი | — | 0,5 | 4,1 | 4,6 |
| თამბაქო | 2,9 | 2,5 | 18,0 | 23,4 |
| ეთეროვან-ზეთოვანი ღ საშკ. | 0,07 | 0,06 | 0,9 | 1,03 |
| სხვა ტექნიკური | 0,07 | 0,1 | 0,2 | 0,37 |
| 3. საბოსტნე-ბაღიეული . . . | 44,9 | 18,0 | 40,7 | 103,6 |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | | |
| კარტოფილი | 17,5 | 10,0 | 18,5 | 46,0 |
| ბოსტნები | 17,5 | 6,8 | 19,7 | 44,0 |
| ბაღიეები | 9,9 | 1,2 | 2,5 | 13,6 |
| 4. ოთხფეხი საქონლის საკვ. | 40,92 | 21,88 | 31,20 | 94,0 |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | | |
| ერთწლიანი ბალახები | 9,52 | 6,28 | 13,90 | 29,70 |
| მრავალწლიანი " | 19,0 | 6,0 | 5,7 | 30,7 |
| ფესვნარი | 1,0 | 1,0 | 1,0 | 3,0 |
| სასილოსე ნათესები | 3,7 | 3,6 | 2,7 | 10,0 |
| წარსული წლების ბალახები | 7,7 | 3,0 | 7,9 | 20,6 |
| სულ ნათესები | 424,15 | 325,65 | 648,2 | 1.398,0 |
| ამის გარდა მწკრივთშო- რისი ნათესი: | | | | |
| სოია | — | — | 25,0 | 25,0 |
| ცერცოვანი | — | — | 25,0 | 2,0 |



2. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეიტანონ სათანადო ცვლილებანი სარაიონო გეგმებში.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა.

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი

1933 წ. თებერვლის 17.

№518.

ტფილისი.

**დადგენილება ა/კსტსრ სახალხო კომისართა.
საბჭოსი.**

54. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ბაზისის რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ბაზისი რეორგანიზებულ იქნეს ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო ავიაციის სამმართველოდ, რადგანაც აღნიშნული ბაზისი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემიდან გადავიდა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სისტემაში.

2. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის რწმუნებულის (ა/კსტსრ სკს-თან) მოადგილის მოვალეობანი დაეკისროს ანხ. დავიდოვს.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსახეკოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1933 წ. თებერვლის 19.

№ 519.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოწმებული კომისიისა.

55. „ზაგოტკონის“ ამიერკავკასიის კონტორის და მისი დამმზადებელი ბაზისების მუშაობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია, მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. პოტერიახინის მოხსენება, აღნიშნავს:

სრულიად არასაკმარისი ხელმძღვანელობის გაწევას „ზაგოტკონის“ ამიერკავკასიის კონტორის მიერ ცხენის დამმზადებელი ბაზისებისათვის, რის შედეგადაც მთელი რიგი ცხენდამმზადებელი ბაზისების მოქმედებაში თავი იჩინა თვალსაზრისით ელემენტებმა ცხენების დამმზადების გეგმების აღსრულების საქმეში (განჯის ბაზისი), ჩარჩულმა ხერხმა და ცხენის ფასის გაბერვამ, მყიდველებისათვის იძულებითი ასორტიმენტის თავზე მოხვევით (ტფილისის ბაზისი), ცხენების რეალიზაციის გეგმების უქონლობამ და ბაზისებზე დიდხნობით ცხენების გაჩერებამ (განჯისა და ბაქოს ბაზისები).

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს ცხენდამმზადებელი ბაზისების მუშაობის დანაშაულებრივ-უყაირათო დაყენებას (44 ცხენის გაწყდომა ბაქოს ბაზისზე და 28 ცხენისა — განჯის ბაზისზე), სახსართა არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვას, აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულიად არადამაკმაყოფილებლად დაყენებას, ქვედა აპარატში კლასობრივ უცხო და დანაშაულებრივი ელემენტების შერევას და სხვა მისთ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დანაშაულებრივი უყაირათობისა, კრედიტების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვისა, საფინანსო დისციპლინის დაუცველობისა, დიდი სადებიტორო დავალიანებისა და სახლში დიდი თანხების შენახვისათვის „ზაგოტკონის“ ბაქოს ბაზისის გამგე ლ. ა. ნოვაკი მოიხსნას თანამდებობიდან და მიცემულ იქნეს სამართალში.

2. გეგმების აღსრულების შესახებ არასწორე ცნობების მიცემისა, ცხენების უყაირათოდ დამმზადებისა, რამაც სახელმწიფოს 24.000 მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა, და კრედიტების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის განჯის ბაზისის გამგე მუსა ქარიმოვი მოიხსნას თანამდებობიდან და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

3. ცხენების დამმზადების გეგმის აღსრულების შესახებ წინასწარი შეცნობით არასწორე ცნობების მიცემისა, ცხენების უყაირათოდ დამმზადების, ცხენების დიდხნობით გაჩერებისათვის, რამაც ბაზისს 20.000 მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა, „ზაგოტკონის“ დირექტორის ყოფილი მოადგილე ჯავეტოვი მიცემულ იქნეს სამართალში.

4. დადასტურებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის განჯის საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება განჯის ბაზისის გამგის ყოფილი მოადგი-

ლის, სახელმწიფო ცხენთა ბრაკერის ზ. ბენკლიანის მუშაობიდან მოხსნის შესახებ—სავეტერინარო-სასანიტარო საქმის ცუდად მოწყობისა და გეგმების შესრულების შესახებ არასწორე ცნობების მიცემისათვის; წინადადება მიეცეს განჯის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო კომისიას მისცეს მოქ. ბენკლიანი სამართალში.

5. მიენიშნოს „ზაგოტკონის“ ა/კ. კონტორის მმართველს ამხ. პირგულოვს ცხენდამზადებათა ოპერაციების არადამაკმაყოფილებლად დაყენება და ცხენდამზადებელი ბაზისებისათვის სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა.

6. აღინიშნოს სრულიად არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის და კონტროლის გაწევა ცხენდამზადებელი ორგანიზაციებისათვის ა/კსტსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკანური მომარაგების სახალხო კომისარიატების მიერ; აგრეთვე აღინიშნოს საკონვენციო ბიუროების უმოქმედობა აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში და ამ ბიუროს უარსებობა საქართველოს სსრ-ში.

7. დაევალოს „ზაგოტკონის“ ა/კ. კონტორის მმართველს ამხ. პირგულოვს—გამოასწოროს ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილებასა და ა/კსტსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის იანვრის 24 დადგენილებაში აღნიშნული ყველა სერიოზული დეფექტი როგორც ა/კ. კონტორისა, ისე მისი ადგილობრივი ბაზისების მუშაობაში და წარმოუდგინოს ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას, არა უგვიანეს მარტის 10-სა, მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დადგენილება ესე გამოქვეყნებულ იქნეს პრესაში.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. ვარძიელი.



დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოღწევაზელი კომისიისა.

56. „1932 წლის წლიური ანგარიშების და ბალანსების შედგენისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 21-ის დადგენილების საკითხის შესახებ.

მოისმინა—რა ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს კოლეგიის წევრის ანხ. ტრაპაიძისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ანხ. მოლჩანოვის ცნობა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. მიენიშნოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკემბრის 21-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტის აღსრულებლობა—ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსათვის მონაგარიშე-მომუშავეთა საჭიროების დაკმაყოფილების 1932 წლის გეგმების წარდგენის თაობაზე, და წინადადება მიეცეს მათ აღსრულონ ეს დავალება ხუთი დღის ვადაზე.

2. მიენიშნოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ა/კსფსრ სახალხო საბჭოს იმავე დადგენილების მე-2 მუხლის აღსრულებლობა—წლიური ანგარიშების შედგენის მუშაობის მსვლელობისათვის პერსონალურად პასუხისმგებელ პირთა გამოყოფის შესახებ და წინადადება მიეცეს მათ გამოჰყონ ეს პირნი იმავე ვადაზე.

3. ვინაიდან 1932 წელს მიმდინარე აღრიცხვის საქმის ჩამორჩენა,—რამაც თავი იჩინა ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ ბევრ ორგანიზაციაში, კერძოდ—ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, მომარაგების სახალხო კომისარიატისა, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში,—წარმოადგენს საფრთხეს წლიური ანგარიშებს და ბალანსების შედგენის ვადების ჩაშლის თვალსაზრით,—აღსრულების შემმოწმებელი კომისია ავალებს ამიერკავკასიის ყველა ორგანიზაციას—მოახდინოს არა უგვიანეს, ვიდრე ერთი თვით ადრე ანგარიშების ჩაბარებისათვის დადგენილ ვადაზე, მიმდინარე აღრიცხვის საქმის ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—იქონიოს სისტემატიური მეთვალყურეობა ამ მუხლის აღსრულებისათვის და საჭირო შემთხვევაში აცნობოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას.

ამავე დროს, ვინაიდან ა/კსფსრ მთელ რიგ გაერთიანებულ უწყებებს აქამდე არ ჩაუტარებიათ სამომხმარებლო მუშაობა წლიური ანგარიშების შედგენი-

სათვის სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ხაზით (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, მსუბუქი მრეწველობას სახალხო კომისარიატი, შომარაგების სახალხო კომისარიატი, შრომის სახალხო კომისარიატი), დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—იქონიოს განსაკუთრებული მეთვალყურეობა სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით წლიური ანგარიშების შესადგენად წარმოებული მუშაობის მიმდინარეობისათვის და საჭირო შემთხვევაში აცნობოს ხოლმე ა/კსფსრ სკს-თან არსებულ აღსრულების შემოწმებელ კომისიას.

4. იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომ ხდება მოანგარიშე მომუშავეების მობილიზაცია სხვა სამუშაოებისათვის და ამას სჩადიან უპირატესად სარაიონო ორგანიზაციები, ეთხოვოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მიანდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ სპეციალური დადგენილება წლიური ანგარიშების შედგენის პერიოდში მოანგარიშეების სხვა სამუშაოებისათვის მობილიზაციის აკრძალვის შესახებ.

იმ დაწესებულებებში, სადაც ბუხჰალტრები იმავე დროს ასრულებენ მეურნეობის გამგისა, მოლარისა, ინკასატორისა და სხვა მისთ. თანამდებობას, განთავისუფლებულ იქნენ ისინი ამ, მათთვის შეუსაბამო, ფუნქციებისაგან და წინადადება მიეცეს მათ დაუყოვნებლივ შეუდგენენ ანგარიშების შედგენას.

5. ყველა ცენტრალურმა უწყებამ და შენაერთმა უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1933 წ. თებერვლის 15-თვის ზედმიწევნითი ცნობები სამუშაოების მდგომარეობისა და 1932 წლის აღრიცხვის საქმის ჩამორჩენის ლაკვიდაციის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია წლიური ანგარიშების დადგენილ ვადებზე წარდგენა.

პერსონალური პასუხისმგებლობა ამა მუხლით და აგრეთვე მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა აღსრულებლობისათვის დაეკისროს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მთავარ და უფროს ბუხჰალტრებს.

6. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ხაზით წლიური ანგარიშების თავის დროზე შედგენა და წარდგენა.

7. ეთხოვოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—აღძრას დეპეშით შუამდგომლობა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მან მოახდინოს განკარგულება ყველა საკავშირო სახალხო კომისარიატისა და ორგანიზაციის მიმართ—დაუყოვნებლივ მიაწოდონ დანიშნულებისამებრ 1932 წლის წლიური ანგარიშის შედგენისათვის საჭირო ყველა ფორმა, ინსტრუქცია და ვადები და უზრუნველჰყონ ცენტრალიზებული წესით საჭირო რაოდენობის საანგარიშო ბლანკების მიწოდება.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეუფარდონ იმ ორგანიზაციებს და უწყებებს, რომელნიც არ ასრულებენ

წლიური ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენისათვის დადგენილ დავალებებსა და ვადებს, ზედმოქმედების სათანადო ღონისძიებანი.

9. ა/კსფსრ სკს-თან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის სხდომაზე 1933 წ. მარტის 10-ს მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებანი ამიერკავკასიის ორგანიზაციების მიერ ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. ვარძიელი.

1933 წ. თებერვლის 1.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატსა საბჭოთა არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

57. ლითონრესურსების და ზედმეტი გაწყობილობის მობილიზაციის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა „მეტალლომის“ ა/კ. კონტორის წარმომადგენლის ამხ. აბოვი-ნიისა, „რემმაშტრესტის“ ა/კ. კონტორის წარმომადგენლის ამხ. გარგალა-ჯევისა და „პრომუტილიზაციის“ ა/კ. კონტორის წარმომადგენლის ამხ. ტერ-არუთინოვის მოხსენებანი, აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს არადამაკმაყოფილებელ შედეგებს ა/კსფსრ-ში ლითონრესურსების და ზედმეტი გაწყობილობის მობილიზაციისათვის წარმოებული მუშაობისას.

„მეტალლომის“ ხაზით: იმ დროს, როდესაც ფართო მოხმარების მასალით და საშენი მასალით წარმოების მომარაგების საქმეში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი, შავი მეტალურგიის მომარაგების გეგმა შესრულებულია 84% -ით, ხოლო ფერადი ლითონებისა—71% -ით.

„პრომუტილიზაციის“ ხაზით: შავი საკლინავი ლითონების მობილიზაციის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 87% -ით.

„რემმაშტრესტის“ ხაზით: წლიური დავალება შესრულებულია მხოლოდ 87% -ით.

აღსრულების კომისია აღნიშნავს, რომ „პრომუტილიზაციისა“ და „რემმაშტრესტის“, არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გარდა, გეგმების აღსრულების ჩაშლას ხელს უწყობდა თვალსაჩინოდ მთელი რიგი სამეურნეო ორგანოების ხელ-მძღვანელთა წინააღმდეგობა ლითონრესურსებისა და ზედმეტი გაწყობილობის მობილიზაციისათვის და აგრეთვე მათ მიერ ქონებული ზედმეტი ლითონისა და გაწყობილობის თვითნებობითი რეალიზაცია.

მაგალითად, „ლენტექსტილის“ სამმართველომ, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის განკარგულების მიუხედავად, მოახდინა, ყოველგვარი გეგმის გარეშე, საიმპორტო გაწყობილობისა და საკავშირო წარმოების გაწყობილობის (ძრავები, ორთქლის ქვაბები—100.000 მან. ღირებულების) რეალიზაცია გარედ.

„არტიკტუფმა“ გადასცა „რემმაშტრესტის“ უცოდნელად საიმპორტო სამანქანო გაწყობილობა „არმსნაბსბიტს“, რომელმაც გაანაწილა იგი სხვადასხვა საწარმოთა შორის გეგმის გარეშე.

„მარგანტრესტი“ იტოვებს თავისთან შინაგანი-წვის ძრავების დიდ რეზერვს უკვე ელექტროფიცირებული ქარხნებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს „გლავენერგოს“ და „ზაქენერგოს“ განკარგულებანი, რომლებითაც აკრძალულია რაიმე რეზერვის გაჩერება ელექტროფიცირებულ ქარხნებში; ამასთანავე, ტრესტი არ იძლეოდა გაწყობილობას თვით მაშინაც-კი, როდესაც არსებობდა გაფორმებული აქტები.

ნავთსახდელი ქარხნების უფროსი ლენსკი ბათუმში არ უშვებდა არავის ზედმეტი-რესურსების გამოსააშკარავებლად, ხოლო გამოაშკარავებული რესურსები მან არ ჩაბარა.

„საქსახმშენის“ სამუშაოთა მწარმოებელმა (ფარმქარხნის მშენებლობის ხაზით) ნიკოლაევამ არ ჩაბარა გამოაშკარავებული რკინის რესურსები და ნაწილი ამ რესურსებისა ვაცვალა საშენი მასალის სხვა სორტიმენტებზე.

ტფილისის საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ არ შეადგინა აქტი გამოაშკარავებული რკინის (რიკული) თაობაზე და ნაწილი ამ რკინისა მიჰყიდა სხვადასხვა ორგანიზაციებს.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პროკურატურის ორგანოები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ შინასამრეწველო რესურსების მობილიზაციის საქმეს და რომ მათ წინაშე აღძრული საქმეები მასსურად ისპობა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—გააძლიეროს ხელმძღვანელობა გამოაშკარავებელი ორგანიზაციების მუშაობისათვის და ხელი შეუწყოს მათ დაკისრებული ფუნქციების შესრულების საქმეში.

2. წინადადება მიეცეს ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ფანცულაიას, ბაქოს საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბალახნინს და ერივანის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ერზინკიანს—მობილიზებულყონ ერთი თვის ვადაზე კომუნალურ საწარმოებსა და სახლებში მთლად ნამტვრევი ლითონი და ჩააბარონ „მეტალლომს“.

ამავე დროს „მეტალლომმა“ უნდა გამოარკვიოს მთლად ის ლითონქონება, რის შეცვლაც შეიძლება არასალითონო მასალით, და ამ ლითონქონების ჩამორთმევა შეუთანხმოს სათანადო საქალაქო საბჭოებს.

3. წინადადება მიეცეს „რემმაშტრესტს“—კვლავ მოახდინოს ერთი თვის ვადაზე მის აღრიცხვაზე ქონებული დემონტირებული სამანქანო-სატექნიკო გაწყობილობის გაბრაკვა.

4. დაველოს ახალსაშენებელთა უფროსებს—გამოჰყონ ორი დეკადის ვა-
დაზე მთლად შავი და ფერადი ნამტვრევი ლითონი და ჩააბარონ „მეტალლომს“
5. შინასამრეწველო რესურსების მობილიზაციის თაობაზე პარტიისა და
მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების უხეში დარღვევისათვის „ლენტექს-
ტილის“ ყოფ. მმართველს ანხ. გ. გოხტუხის და „არტიკტუფის“ მმართველს
ანხ. მატინიანს გამოეცხადოს საყვედური.

6. მიენდოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს,
„რემმაშტრესთან“ ერთად, გამოარკვიოს ერთი დეკადის ვადაზე, რამდენი არამომ-
ქმედი ძრავი შეიძლება ჩამოერთვას „მარგანტრესტს“ და რამდენი შეიძლება და-
ტოვებულ იქნეს მისი საჭიროებისათვის.

7. გამოეცხადოს საყვედური უკანასკნელი ვაფრთხილებით: ბათუმის ნავთ-
სახდელი ქარხნების უფროსს ანხ. ლენსკის და ფარმქარხნის სამუშაოთა მწარ-
მოებელს ნიკოლაევს.

8. აღსრულების შემმოწმებელი კომისია ერთხელ კიდევ აფრთხილებს ყველა
სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელთ, რომ ისინი პერსონალურად პასუხს
აგებენ ლითონრესურსებისა და ზედმეტი გაწყობილობის მობილიზაციის წარ-
მატებით ჩატარებისათვის თავიანთ საწარმოში და წინადადებას აძლევს მათ—
დაუყოვნებლივ შეასრულონ დადგენილება სპეციალურ პიროთა გამოყოფის შესა-
ხებ, რომელნიც პასუხმგებელნი იქნებიან ლითონრესურსებისა და ზედმეტი გაწყ-
ობილობის მობილიზაციისათვის, და მათი გვარები აცნობონ „მეტალლომს“
„რემმაშტრესტს“ და „ვსეპრომუტილიზაციას“.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის

თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის

პასუხისმგებელი მდივანი ი. ვარძიელი.

1933 წ. თებერვლის 1.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატსა და სსსრ-ის არსებული აღსრულების შემოწმებელი კომისიისა.

58. ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ტრაქტორებისა და
მისაბმელი იარაღის რემონტის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომად-
გენლის ანხ. ცინცაძის მოხსენება და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპე-
ქციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ანხ. პოტერიახინის თანა-
მონსენება, აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

იმისდამიუხედავად, რომ ტრაქტორების და მისაბმელი ინვენტარის რე-
მონტის თავის დროზე დამთავრებას უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნე-

ლობა აქვს, მაინც ამ საბრძოლო ამოცანას ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო
კომისარიატის სისტემის ორგანოები ასრულებენ სრულიად არადაამაკმაყოფილებად
ფილებლად.

თებერვლის 10-თვის ა/კსფსრ-ში რემონტირებულია 1.462 ტრაქტორი
ან გემის 49,7%⁰; აქედან: საქართველოში—585 ტრაქტორი ან 57,7%⁰-ი; სომ-
ხეთში—289 ტრაქტორი ან 57,6%⁰-ი და აზერბაიჯანში—537 ტრაქტორი ან
39,5%⁰-ი.

მისაბმელი ინვენტარის რემონტი ა/კსფსრ-ში შესრულებულია: სატრაქტორო
და ცხენის გუთნებისა—37,9%⁰-ი და საოესი მანქანებისა—47,3%⁰-ი; ამასთანავე, შე-
უწყნარებლად ჩამორჩენილია ამმხრივ აზერბაიჯანის სსრ, სადაც სატრაქტორო
და ცხენის გუთნების რემონტი შესრულებულია 26%⁰ით, ხოლო სათესებისა—
26,5%⁰-ით.

აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მიაჩნია, რომ ამიერკავკასიის და რეს-
პუბლიკანურმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და აგრეთვე „ხლოპ-
ტრაქტორცენტრის“ რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში არ გაუწიეს ოპერატიული ხელ-
მძღვანელობა ტრაქტორობისა და მისაბმელი ინვენტარის თავის დროზე რემონ-
ტის ჩატარების საქმეს; კერძოდ—ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების შე-
კვეთების განაწილებას ადგილობრივ ქარხნებზე.

ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურმა მიწათმოქმედების სახალხო კომისა-
რიატებმა და „ზაკსელსნაბრემონტმა“ ვერ მოახერხეს კონტროლის მოგვარება
ცალკეულ მეურნეობებზე (საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სად-
გურები) სათადარიგო ნაწილების განაწილებისათვის და ამ ნაწილების რაციო-
ნალურად გამოყენებისათვის და აგრეთვე ვერ მოაგვარეს შინაგანი რესურსე-
ბის მობილიზაცია თვით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, კოლექტიურ მე-
ურნეობებში და საბჭოთა მეურნეობაში.

არ იყო ცნობები და იმის აღრიცხვა, თუ რამდენი ჰქონდათ და რამდენი
აკლდათ სათადარიგო ნაწილები რესპუბლიკანურ საწყობებს და სამანქანო-სა-
ტრაქტორო სადგურებს (საგარეჯოსას და ბარდისას).

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ.
ბუნიათ-ზადეს) და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი-
ატს (ამხ. ვეზიროვის), სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი-
ატს (ამხ. ესაიანს) და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისა-
რიატს (ამხ. მათიკაშვილს)—მიადწიონ დაუყოვნებლივ სათანადო გარდატეხას
ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის საქმეში და უზრუნველ-
დყონ ამ რემონტის დამთავრება პარტიისა და მთავრობის მიერ დადგენილ ვა-
დაზე—მარტის 1-ს.

2. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. მა-
იკონიანს) და „ხლოპტრაქტორცენტრის“ რწმუნებულს (ამხ. ტოლპინ-
ცევს)—გამოარკვიონ 5 დღის ვადაზე ხელტკონებული სათადარიგო ნაწილე-
ბისა და მასალის რაოდენობა და აგრეთვე ის რაოდენობა, რაც საჭიროა, რათა
დამთავრებულ იქნეს ზამთრის რემონტი, ცალკეულ სამანქანო-სატრაქტორო სა-

დღურებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე დიფერენციაციით.

იმავე ვადაზე გამორკვეულ იქნეს მწვავე-სადეფიციტო ნაწილების დანაკლი, რის შემოზიდვაც ცენტრიდან უზრუნველყოფილი არ არის.

3. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. მამიკონის) „ზაკსელსნაბრემონტიან“ (ამხ. ალიკპერბეკოვთან) ერთად, გამოარკვიონ 3 დღის ვადაზე, რაოდენი შავი და ფერადი ლითონია „სელხოზ-სნაბრემონტის“ და „ტრაქტორცენტრის“ საწყობებში სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად ადგილობრივ ქარხნებში და მიაწოდონ ამ უკანასკნელთ საქირო რაოდენობის და ასორტიმენტის ლითონი.

4. დაევალოს „ზაკვეტმეტხოლოტოს“—სავსებით უზრუნველჰყოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განაცხადები ფერად ლითონზე (კალა და ბრინჯაო).

5. დაევალოს რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ტრაქტორცენტრებს—მიამაგრონ 2 დღის ვადაზე ქარხნებს ინჟენრები ან აქენიკოსები კონტროლისა და ტექნიკური მინიშნებების მიცემისათვის სათადარიგო ნაწილების დამზადების ხაზით, და აგრეთვე შეამოწმონ საწარმოო უბნებში, მრის თუ არ იქ სამკედლოები და სახელოსნოები, რაც უზრუნველჰყოფს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღის რემონტს სამინდვრე მუშაობის პერიოდში.

6. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ცინცაძე), ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირთან (ამხ. ბუკრეევთან) ერთად, დაამყარონ, მოხმარების ადგილებში სათბობი და საცხები მასალის შეზიდვისათვის მიღებული გეგმის თანახმად, ნავთის პროდუქტების შეზიდვისა და გატანის სისტემატიური აღრიცხვა და უზრუნველჰყონ დაუცადებელი მომარაგება.

7. აღსანიშნავია—რა კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუწევლობა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, კერძოდ—„ექსპლოატაციისა, მომარაგებისა და რემონტის“ სექტორის მხრით, ამ სექტორის ხელმძღვანელს ამხ. ცინცაძეს გამოეცხადოს საყვედური.

8. მიენიშნოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. მათიკაშვილს), სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ესაიანს) და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ყასიმოვს) სარემონტო კამპანიისათვის სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა და უკონტროლობა სათადარიგო ნაწილების ადგილობრივ ქარხნებს შორის განაწილებისა და დამზადებისათვის და ამ ნაწილების საკავშირო მრეწველობის ქარხნებიდან შემოზიდვისათვის.

9. სარემონტო კამპანიისათვის სუსტი ხელმძღვანელობის გაწევისა და გაწყობილობისა და სათადარიგო ნაწილების ცენტრალიზებული ფონდების განაწილებაში ჩარევისათვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მექანიზაციის სექტორის ხელმძღვანელს ამხ. მირიანაშვილს გამოეცხადოს საყვედური.

10. სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის (სათადარიგო ნაწილების არათავის დროზე გაცემა, შეკვეთების დაგვიანებით განაწილება ქარხნებზე, სათადარიგო ნაწილების დამზადების თაობაზე ხელშეკრულობების, დაგვიანებით დადება) „სელსნაბრემონტის“ კონტორის მართველი კაპანაძე მოხსნილ იქნეს სამუშაოდან.

11. სუსტი მუშაობისა, მუშაობაში ცოცხალი ხელმძღვანელობის არქონისა, შინაგანი რესურსების მობილიზაციის ცუდად ჩატარებისა, რემონტის დაბალი ხარისხისა და შრომის დისციპლინის შერყეულობისათვის—ქურდამირის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს იუზბაშევს და უფროს მექანიკოსს კრასნიცკის და ბარდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური—

12. ბაქოდან მისული მუშათა ბრიგადისათვის დახმარების გაუწევლობისა და ხელის შეუწყობლობის გამო, რის შედეგადაც ბრიგადა უმოქმედობდა იანვრის 15-დან იანვრის 19-დე, სალიანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს ამხ. ჰუსეინოვს გამოეცხადოს საყვედური.

13. მასალა საქტრაქტორცენტრისა და კალინინის სახელობის ქარხნის მოქმედების შესახებ—სათადარიგო ნაწილების დამზადების ხაზით—გადაეცეს ა/კსტსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
პასუხისმგებელი მდივანი ი. ვარძიელი.

1933 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

31

